სახელმწიფო შესყიდვის განმახორციელებელი:	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების საშუალება:	კონკურსი
შესყიდვის ობიექტის დასახელება:	სოფელ გრიგოლეთში, ზღვის სანაპირო ზოლში, 1 კმ სიგრძის მონაკვეთზე ნაპირდაცვისა და ნაპირაღდგენის სამუშაოების საპროექტო მომსახურება

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკონკურსო კომისიის სხდომის ო ქ მ ი # 3

თბილისი

02.06.2014წ.

თემა: სოფელ გრიგოლეთში, ზღვის სანაპირო ზოლში, 1 კმ სიგრძის მონაკვეთზე ნაპირდაცვისა და ნაპირაღდგენის სამუშაოებისათვის საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ N1231-ე კონკურსში მონაწილე პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი ტექნიკური წინადადებების განხილვა.

საკონკურსო კომისიის შემადგენლობა:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის დროებით მოვალეობის შემსრულებელი:

საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე	ი. ლითანიშვილი

საკონკურსო კომისიის წევრები:

თავმჯდომარის პირველი მოადგილე	
დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე	ნ. გასვიანი
საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი	ვ. ფანჩულიძე
ფინანსების მართვის სამმართველოს უფროსი	გ. ამბრიაშვილი
იურიდიული სამმართველოს უფროსი	დ. ჯაგაშვილი
გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს უფროსი	თ. მთივლიშვილი
გზების რეაბილიტაციისა და პერიოდული შეკეთების სამუშაოების ორგანიზაციისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი	ო. ხატიაშვილი
გზების განვითარების და რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამმართველოს უფროსი	ა. გვაზავა
გზების ტექნიკური ზედამხედველობისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი	ბ. მინჯორაია
ნაპირდაცვის სამმართველოს უფროსი	გ. ნონიკაშვილი
საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	თ. კაპანაძე
სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი	ვ. რაზმაძე
სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოადგილე	შ. ხალვაში
	ლ. როსტომაშვილი

მსვლელობა: სოფელ გრიგოლეთში, ზღვის სანაპირო ზოლში, 1 კმ სიგრძის მონაკვეთზე ნაპირდაცვისა და ნაპირაღდგენის სამუშაოებისათვის საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ N1231-ე

კონკურსში, კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესწავლის და დამუშავების მიზნით, 2014 წლის 8 მაისის საკონკურსო კომისიის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, შექმნილი ჯგუფის მიერ წარმოდგენილ იქნა შუალედური ინფორმაცია კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციას შესახებ.

აღნიშნული კონკურსის პირობების მიხედვით, იმისათვის რათა განხორციელდეს კონკურსში მონაწილე პრეტენდენტების საბოლოო ტექნიკური და შემდგომ ფინანსური წინადადებების შეფასება, მათ მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა აკმაყოფილებდეს საკონკურსო განცხადების მე-10 მუხლის 10.5 – 10.7 პუნქტებით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

საკონკურსო კომისიის სხდომაზე, მუშა ჯგუფმა წარმოადგინა მის მიერ შესწავლილი სამივე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია, რომლის ანალიზი განახორციელა საკონკურსო დოკუმენტაციისა და კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადების მოთხოვნათა შესაბამისობის დადგენის გზით. აღინიშნა, რომ სამივე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია: საჭირო მოწყობილობა-დანადგარების და აპარატურის შესახებ (10.5 პუნქტი) და ინფორმაცია ძირითად სპეციალისტთა კვალიფიკაციაასა და გამოცდილების შესახებ (10.6 პუნქტი) აკმაყოფილებს საკონკურსო განცხადებით მოთხოვნილ პირობებს.

გარდა ამისა, განხილულ იქნა, კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, შესყიდვაში მონაწილე პირების სამუშაო გამოცდილების შესახებ. კერძოდ, საკონკურსო განცხადების 10.7 პუნქტის შესაბამისად, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში ერთ-ერთ წელს მაინც უნდა ჰქონოდა შესრულებული არანაკლებ 5.0 მლნ. ლარის ღირებულების ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოებისათვის საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესწავლისა და განხილვის შედეგად, დადგინდა რომ 10.7 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს აკმაყოფლებს კონკურსში მონაწილე ორი პრეტენდენტი: შპს „ნაპირდაცვა“ და ასოციაცია „ჰიდროსფერო“. რაც შეეხება მესამე კონკურსანტს, შპს „გამა კონსალტინგის“ მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში მოცემული ორი ობიექტიდან, მხოლოდ ერთი ჩაითვალა შინაარსობრივად ანალოგიური ხასიათის და სირთულის სამუშაოდ, რომლის სამშენებლო ღირებულებამ მხოლოდ 2.0 მლნ. ლარი შეადგინა. მეორე ობიექტად წარმოდგენილი იყო „ქ. თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის მომზადებაზე“ გაწეული მომსახურება, რომელიც განსხვავებული შინაარსისა და ხასითის გათვალისწინებით ანალოგიურ ობიექტად არ იქნა მიჩნეული და შესაბამისად, აღნიშნულ კონკურსზე კონკურსანტის გამოცდილებაში ის ვერ იქნა ჩათვლილი. შედეგად, წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით, შპს „გამა კონსალტინგმა“ ვერ დააკმაყოფილა 10.7 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამუშაოებისათვის საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების კუთხით.

წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის საკონკურსო პირობებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის გათვალიწინებით, საკონკურსო კომისიას მიეცა რეკომენდაცია:

1). განხორციელდეს შპს „ნაპირდაცვისა“ და ასოციაცია „ჰიდროსფეროს“ ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასება;

2). იმის გათვალისწინებით, რომ შპს “გამა კონსალტინგის“ მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია ვერ აკმაყოფილებს საკონკურსო განცხადების 10.7 პუნქტით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, საკონკურსო განცხადების მე-13 მუხლის 13.6 პუნქტის თანახმად, შპს “გამა კონსალტინგი“ დისკვალიფიცირებულ იქნას აღნიშნული კონკურსიდან და უკან დაუბრუნდეს ფინანსური წინადადების პაკეტი გაუხსნელად.

გადაწყვეტილება: საკონკურსო კომისიამ იხელმძღვანელა რა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით, „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N3 ბრძანებით და საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებული N 1231-ე კონკურისის პირობებით, დაადგინა:

1) შემსწავლელი ჯგუფის მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და სხდომაზე წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის შედეგების გათვალისწინებით, საკონკურსო განცხადების 10.7 პუნქტით განსაზღვრული

საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის გამო, საკონკურსო პირობების მე-13 მუხლის 13.6 პუნქტის შესაბამისად, შპს „გამა კონსალტინგი“ დისკვალიფიცირებულ იქნას N 1231-ე კონკურსიდან და უკან დაუბრუნდეს ფინანსური წინადადების პაკეტი გაუხსნელად. კომისიის გადაწყვეტილება შპს „გამა კონსალტინგს“ ეცნობოს წერილობით.

2). ეთხოვოს კომისიის წევრებს, საკონკურსო განცხადების მე-13 მუხლის შესაბამისად, განახორციელონ შპს "ნაპირდაცვისა“ და ასოციაცია „ჰიდროსფეროს“ ტექნიკური დოკუმენტაციის საბოლოო შეფასება;

3). დაევალოს საკონკურსო კომისიის წევრს ლ. როსტომაშვილს, გამოქვეყნების მიზნით, უზრუნველყოს საკონკურსო დოკუმენტაციის გადაგზავნა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში, ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

<u>საკონკურსო კომისიის წევრები:</u>

ნუგზარ გასვიანი

ოთარ ხატიაშვილი

თეიმურაზ მთივლიშვილი

გივი ამბრიაშვილი

ვახტანგ რაზმაძე

თეიმურაზ კაპანაძე

ლევან როსტომაშვილი

ირაკლი ლითანიშვილი

ვაჟა ფანჩულიძე

ბეჟან მინჯორაია

დემურ ჯაგაშვილი

ავთანდილ გვაზავა

გიორგი ნონიკაშვილი

შაქრო ხალვაში

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2 ივნისი, 2014 წელი

შესასყიდი ობიექტის დასახელება	სოფელ გრიგოლეთში, ზღვის სანაპირო ზოლში, 1 კმ სიგრძის მონაკვეთზე ნაპირდაცვისა და ნაპირაღდგენის სამუშაოების საპროექტო მომსახურება

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N3 ბრძანების მე-3 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ "სოფელ გრიგოლეთში, ზღვის სანაპირო ზოლში, 1 კმ სიგრძის მონაკვეთზე ნაპირდაცვისა და ნაპირაღდგენის სამუშაოების საპროექტო მომსახურების" N 1231-ე კონკურსის საშუალებით შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

საკონკურსო კომისიის წევრები:

ირაკლი ლითანიშვილი

ვაჟა ფანჩულიძე

თეიმურაზ მთივლიშვილი

ავთანდილ გვაზავა

ვახტანგ რაზმაძე